ერი

№ 4
წელიწადი
მეორე
1914

ფასი:
წლიურათ . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

კვირა, 5 იანვარს.
მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ"
Ивановская, д. Чиладзе.

ყოველდღიური გაზეთი

ტელეფონი № 149.

„რადიუმი"
ხუთშაბათი, 2 იანვრიდან დიდი საახალწლო პროგ.
I.
პატეუ ურნალი.

II.
ქალის უმგელესი უბანი
III.
საიდუმლო კალები
დრ. 3 მოკმ.

ასტა ნილსენის მონაწილეობით, ურბან გოოდის სცენარით.
IV.
დურაშკინი-ქვის მსხეხელი
კომიკური.

მოკლე ხანში აჩვენებენ საუცხოვო ფერადებიან სურათს
ლეერთების ხიეგრული
პარიზის ოპერის მაცეკვარი ნაპერკოვსკის ქალის მონაწილეობით.

დრაფი ბიბერი ტრიკ. მაუდი.

პაპეგზე დამუარეგული ამხანაგობა
ს. მ. კირაკოზოვი
და ბ. ბ. ოგანოვი

ბუმაზეი ფლანელი ვიგონი შოტლანდკა.

მილებულია დიდკალი
საზამთრო
საქონელი

კოტიკი ბლიუში ველვეტი.

შაბათობით იყიდება
იაფათ
ნაჭრები.

ველვიური გგნუია იდეალი ფლორა.

ყოვლ დღიური საპოლიტ კო და სალიტერა-ტურო გაზეთი

„ერი"

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახდა მონაწილეობას მიიღებენ ზგენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . . . 7 მანეთი.
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი.
ერთი თვით . . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . . 1 შაური.

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მ., „ 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაკავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზად. მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ" ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.

თავადი ივანე ელიზბარის ძე დადიანი, აღათი ივანეს ასული დადიანისა და ნიკოლოზ (კოკი) ნიკოლოზის ძე დადიანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გადაიცვალა
ქნეინა ეკატერინე (ქეკელა) თეიმურაზ აბიაშვილის ასული
დადიანისა.
ტირილი, გამოსვენება და დაკრძალვა მიცვალებულისა დანიშნულია 8 იანვარს, დღის 9 საათზე. (სოფ. ნოსირი, საკუთარი სახ.

ნესტორ და ოლინკა ტყეშელაშვილები და სიმონ ბეჟანისძე რუხაძე, შვილები: ნადია, ვერა, ლუბა, ბეჟან, თამარა და სონია, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას პირველნი ძვირფასი მამის, მეორე სიმამრის
გიორგი ოტიას ძე ტყეშელაშვილისას
გამოსვენება დანიშნულია კვირას 5 იანვარს დილის 11 საათ. მესამე ალექსანდრეს ქუჩა, საკ. სახლი. ცხედარს წაასვენებენ ს. ზედა მაღლაკში.

საჯარო ლექცია
კვირას, 5 იანვარს 1914 წ.
პეტერბურგის ფსიხო-ნერვოლოგიური ინსტიტუტის და ქალთა უმაღლესი კურსების პროფესორი კ. ნ. სპერანსკი წაიკითხავს საჯარო ლექციას ქალაქის თეატრში შემდეგ თემაზე.
„ჩვენი დროის ფაუსტები და მეფისტოფელები"
დაწვრილებით პროგრამაში.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე ადგილების ფასები 10 შაურიდან—2 მან. ქანდარა 5 შ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

18 დეკემბრიდან
დაიწყო ხელის მოწერა
ია ეკალაძის (ი. ცინცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად
წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული ექმნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.
წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზათ.
ხელის მოწერა მიიღება ბბ-ნ თ. მთავრიშვილის, კ. ოცხელის, „პროვინციის" წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.
ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.
მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.
გამომცემელი ია. ცინცაძე.

1913 წლის 20 ნოემბრიდან
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ
გახსნა საკუთარი
ახალი სტამბა
ქუთაისში
სტამბა საუკეთესოთაა მოწყობილი და იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს ქალაქსა და პროვინციებიდან: —ქართულ, რუსულ და სხ. ენებზე ზომიერ ფასებში.

1914 წლის 2 იანვრიდან
ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის სახლში, ბულვარის პირდაპირ გაიხსნა
კანტორა
ნოტარიუსის ვ. პ. კოკოჩაშვილისა.

2 января 1914 года
въ Кутаисѣ на Гимназической ул. въ д. Киракозова и Оганова открыта
контора
НОТАРІУСА В. П. КОКОЧЕВА.

ქ. ქუთაისში
ვაჭრობამრეწველობის სამინისტროს უწყებაში მეოფი
საბუღალტერო კურსები
გ. ბ. გიგინეიშვილისა
15 იანვრიდან იხსნება მეორე პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდას შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

ქუთაისი
პირველი კერძო საქეურნალო
სპეციალისტი აქიმებით.
მუდმივი საწოლებით ო. ა. რედიგინის სახლი თეთრ ხიდთან.
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:
დილით.
ბ. ა. ანანიანი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . . 1—2
ბ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . . . 10—12
ა. ა. რედიგინი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო . . . . 11—12
მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . 12—2
ვ. ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . 12 1/2 2
საღამოთ.
ბ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . 4 1/2—5 1/2
ვ. ა. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . 5 1/2—6 1/2
სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტაციურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა.
ტელეფონი № 53
სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

ქუთაისი
თ. მთავრიშვილის და ამხ.
წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში
იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები, როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისთანავე.
პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აკმაყოფილებს.
მაღაზია დებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

აქიმი ი. ჩარექოვი იღებს კანიხა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

აქიმი კ. თ. ტყეშელაშვილი. დებულობს ავათმყოფებს შინაგანი, ვენერიული, კანიხ) ვიტუშინსკის სახლი, ალექსანდრეს უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, ფერეთვა ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიკერაძისა.

ქუთაისი, 5 იანვარი.

დასავლეთ საქართველოში მიწის დაწვრილმანება უკიდურესათ განვითარდა. თავისთავად ეს მოვლენა სამწუხარო კი არა, სასიხარულოა. მიწის საკუთრების უკიდურესი დანაწილება სასოფლო მეურნეობის განვითარების, მისი მაღალი კულტურის მაჩვენებელია. გერმანიასა და საფრანგეთში სამი ოთხი დესეტინა მიწა თითქმის საშვალო მიწის მფლობელობათ ითვლება. ჩვენში თუთხმეტი ოცი დესეტინაც ვერ ასაზღოებს მესაკუთრეს, ჩვენში მიწის დაქუცმაცება ისეთი სიჩქარით ხდება (სახეში ისევ დასავლეთი საქართველო გვაქვს), როგორც ევროპის სხვადა სხვა ქვეყნებში. იქ ეს პროცესი სამეურნეო კულტურის განვითარების შედეგია. მაღალი სამეურნეო კულტურა ვერ ეთვისება მსხვილ მიწის მფლობელობას, ჩვენში კი სულ სხვა მაზეზი მოქმედობს. აქ მიწის დამუშავება პრიმიტიული წესით ხდება. ჩვენში კიდევ მამაპაპისეული გუთანი მოქმედობს. ჯერ ვერ შეგვიგნია, რომ სიმიდის გარდა სხვა უფრო გაცილებით ძვირფასი ნაყოფი შეიძლება გამოიღებიო მიწას. და თუ მიწის დანაწილება მაინც ხდება, ამის მიზეზი ხალხის გამრავლება და მიწის სივიწროვეა, რასაკვირველია.

ასეთი მიზეზი ევროპაშიც მოქმედობს. უმთავრესათ წარმოების წესის შეცვლა ამ პირობებმა გამოიწვია, მაგრამ იქ ხალხის გამრავლებასთან ერთად, სამრეწველო მეურნეობაც ვითარდება დიდის სიჩქარით. ახალი წარმოების დარგნი და ძველი ზღაპრული ზრდა სამუშაოს აძლევს, წარმოების პროცესში აბამს მშრომელთა მასას. ისინი სოფელს თავს ანებებენ და სამრეწველო ქალაქებისაკენ ესწრაფებიან. ჩვენში კი სამრეწველო მეურნეობა განუვითარებელია, ის მსურველთა მეათასედ ნაწილსაც ვერ აკმაყოფილებს. ამიტომ ჩვენი გლეხი იძულებულია თავის პატარა მიწის ნაკერზე გაჩერდეს და როგორც იქნება თავი გამოიკვებოს. მართალია, ჩვენი გლეხიც სამუშაოს საძებრათ შორდება სოფელს და მიდის თფილისს, ბაქოს და უფრო შორსაც, მაგრამ მას ბედი არ უღიმებს, ადგილის შოვნა მეტათ უძნელდება და ისიც კი რომელსაც რაიმე სამუშაო უშოვია ან ვაჭრობა დაუწყია, კვეშირე

არ სწყვეტს სოფელთან. პირიქით, თუ რამე იშოვა, იგი სოფლისაკენ მოისწრაფვის, სურს თავისი კერი გააძაგროს, იწა შეიძინოს სახლკარი იყიდოს, რომ უფრო მტკიცეთ დამკვიდდრდეს თავის კუთხეში. ამით აიხსნება, სხვათა შორის, რომ დღეს რაჭაში დესეტინა მიწა ორას თუმნადი ფასობს. ასეთი ფასები, რასაკვირველია, ნიშანია მიწის მფლობელობის აბანორმალური მდგომარეობისა. ჩვენ არ შეგვიძლია მოვსპოთ ეს აბანორმალური მდგომარეობა, ეს მიწის მფლობელობისა და საკუთრების სრულის რეორგანიზაციას შემდეგ მოხდება. დღეს ჩვენ მის შემცირებაზე უნდა ვზრუნავდეთ. ზემო და ქვემო იმერეთი, ზურია, რაჭა, ლეჩხუმი ისე მჭიდროთ არის დასახლებული, ამ ბოლო ხანში მაინც ისე გამრავლდა მცხოვრებთა რიცხვი, რომ თუ რაიმე ახალი გზა არ გამოვნახეთ, თუ ახლავე არ შეუდექით საქმის მოწესრიგებას, შემდეგ გვიან იქნება, მიწაზე ფასები კიდევ უფრო აიწევს, და ეს ავათმყოფური პროცესი მიწის მფლობელობისა დიდ განსაცდელში ჩააგდებს ისედაც მრავალ ჭირში მყოფ ხალხს.

ჩვენ ვთქვით, ახალი გზა უნდა მოინახოსთქო, მაგრამ ეს მართალი არ არის რადგან გზა უკვე მონახულია, ის თვით ჩვენმა გლეხობამ მონახა. კარგა ხანია უმიწა წყლო გლეხები, მთელი სოფლობით მილტვიან ქართლ კახეთისაკენ, განსაკუთრებით კახეთს ეტანებიან ჩვენებური გლეხები და ეს არც გასაკვირალია. ალაზნის ველზე და მის გალმა ჯერ კიდევ დიდი მამულებია თავისუფალი, მიწა ბევრათ უფრო მდიდარი, ჩვენსაზე. ბევრია ისეთი მიწები, რომლის გაყიდვა უცხოელებზე ვერ მოუსწრიათ კახეთის მემამულეებს და ამ მიწების შესაძენათ იწყო დენა იმერელმა გლეხობამ კახეთისაკენ. ალაზნის პირას და კავკასიის მთის კალთებზე უკვე გაშენებულია რამდენიმე ახალშენი, რომელთა ნახვით აღტაცებაში მოდიხართ, სუფთა, იმერული ხის ოდები, ბალები, ბოსტნები, მწვანე პატარა ეზოები, ვენახზე ხომ თქმაც მეტია, ეს სანახაობა დიდ სიამოვნებას გვრის მნახველს. კახეთის ტურფა და მდიდარი ბუნება, მშვენიერი მიწა, საამო ჰავა იზიდავს თავისკენ ყველას, ვისაც ბედნიერება ქონია მისი ხილვისა.

ნეტარხსენებული ილია ხშირათ იტყოდა: მარტო ალაზნის ველი აცხოვრებს მდიდრათ ათ მილიონ ხალხს. და მართლაც, რა კულტურა გინდათ, რომ აქ არ ხარობდეს. როგორც კახეთის ველზე ვსთქვით, იმერელმა გლეხობამ უმიწაწყლოთ შევიწროებულმა თვით გამონახა თავის საშველი გზა და იქითკენ მიილტვის. ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ ეს ბუნებრივი თვით გლეხებში დაბადებული ლტოლვილება მოვათადარიგოთ, საქმე გაუადვილოთ, დავეხმაროთ. თუ დღემდი გადასახლება ძნელი იყო, კახეთის რკინისგზის დასრულებას შემდეგ ხომ მეტათ გაადვილდება. რომ ამ საქმეს ორგანიზაციული ხასიათი მიეცეს, რომ გადასახლება სისტემატიური იქმნეს, ამისთვის საჭიროა განსაკუთრებული ბიუროების დაარსება. ბიურო უნდა კრებდეს ცნობებს, სად რა პირობებში, რა სივრცის, რა ღირსების და როგორი ადგილი იყიდება, ან შეიძლება გაიყიდოს. ბიურო გაავრცელებს ხალხში ამ ცნობებს. გადასახლების მსურველნი მიმართავენ ბიუროს და იგიც მათ გააცნობს საქმის ვითარებას, უჩვენებს გზას, ასწავლის, ვის უნდა მიმართოს თფილისში, იქიდან მიასწავლიან კახეთში და ამ რიგათ გადასახლების მსურველთათვის საქმე ერთი ათად გაადვილებული იქნება. მართალია, რკინისგზა მიწების ფასს ასწევს, მაგრამ იმერეთში რო ფასია, მასთან შედარებით მაინც მცირე იქნება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თფილისის თავად აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოსთან არსებული საადგილ-მამულო კომისია ბევრს გაიკეთებს თუ სურვილი ექნება. სამეურნეო ბანკები და წვრილი კრედიტის ამხანაგობები თავის მხრით უეჭველია დახმარებას გაუწევენ ახალ დასახლებულთ. თუ ეს საქმე სასურველათ მოეწყო მას დიდი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ჩვენს ქვეყანას. უპირველეს ყოვლისა იგი შეაჩერებს მიწების ფასის ზრდას იმერეთში, ბათუმსა და ქართლის თავისუფალ ადგილებზე ქართველები დამკვიდრდებიან და მით უცხოელებს მოუსპობენ საშვალებას, ჩვენს მიწებს დაეპატრონონ.

დავაჩქაროთ საქმე, გვიან არ არის, თვარა ახლო მომავალში კახეთს მიაწყდება სხვადასხვა ჯურის უცხო „კულტურტრეგერები“. მიწა დღესაც ამოძრავებულია, კახეთის რკინის გზა მას კიდევ მეტათ აამოძრავებს. მის ტურფა ველებს შეესევა უცხო ელემენტი და თუ დიდი ძალა, საქმიანობა და უნარი არ გამოვიჩინეთ, თუ მთელი ჩვენი ყურადღება იქით არ მივაპყარით, მას სხვები დაიპყრობენ. კახეთი, რომელსაც მრავალ საუკუნეთა სვლაში ქართველი თავგანწირვით იცავდა, რომლის თითქმის ყოველი კუთხე, სოფელი მოწამეა დიდი ომისა და სისხლის ღვრის, რომლის ყოველი სისხლით მორწყული ნაბიჯი სხვადასხვა ისტორიულ მოგონებათ გვილვიებს, ერთი უმშვენიერესი მხარე ჩვენი ქვეყნისა, ხელიდან გამოგვეცლება, დაგვეკარგება. ნუ ვიქმთ ამას, გულზე ხელ დაკრეფილი ნუ შევყურებთ ჩვენი დაღუპვის პროცესს..-

გუნდოვანი თქმულიც გასაგებია.

როგორც იქნა, რუსეთი ეღირსა სახალხო განათლების მოღვაწეთა კრებას. ასეთი კრება რუსეთში პირველია; ცივი ჩრდილოეთის სატახტო ქალაქი პირველათ ხედავს ერთად თავშეყრილს ექვსი ათასზე მეტს სახალხო მასწავლებელს; პირველათ ესმის მას რუსეთის პროვინციებში სწავლა-განათლების შემტანთა სიტყვა, სიტყვა არა თავისუფალი. წარმოუდგენელია, მოულოდნელათ გვეჩვენოს ის, რაც ბევრჯერ ყოფილა, არის და იქნება. გულუბრყვილოს მეტი ვინ იფიქრებს, რომ სახალხო მასწავლებელს. რომელიც აწ და მარადის საეკვო ელემენტათ იყო და არის ცნობილი, თავისუფლად დალაპარაკების უფლებას მისცემდენ, მაშინ, როცა არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა ისეთი, რომ არამც თუ უბადრუკი და უმწეო პროვინციისთვის, თვით პეტერბურგისა და მოსკოვისათვის არ მიუტევებიათ თავხედობა. კიდეც გამართლდა მოლოდინი და სახალხო მასწავლებელთა სიტყვა ფრიად შეზღუდეს. მას კატეგორიულათ გაუცხადეს:—შეეხე რასაც გინდა იმსჯელე, და ილაპარაკე რაზედაც გსურს, ხოლო შენს ბედსა და ცხოვრებას არ შეეხო. მაგგვარი რამ „სიზდის“ პროგრამაში არ შედის“. ცხადია, ამგვარი რამ ფრიად შეზღუდული იქნება და კრების თვალთმაქცებისა და გიმნაზიისათვის ან რაზე უნდა დაილაპარაკოს ბედკრული სოფლის ბედკრულმა მასწავლებელმა თუ არ თავის ბედსა და ცხოვრებაზე, რაზე უნდა იმსჯელოს მან თუ არა შევიწროებასა და დევნაზე, რომელსაც განიცდის იგი პირადათ, როგორც ბედკრული ხალხის გულწრფელი მოსარჩლე და მოძმაგე? რუსეთის ბიუროკრატიამ კაი ხანია სცნო, რომ ძალა ხალხსა და მის კულტურულ აღზრდაშია და აღიარა, რომ დღევანდელი სახელმწიფოებრივი წყობილების კეთილდღეობას, ხანგრძლივობას სახალხო სასწავლებელთა გამრავლება საფრთხეს უქადის და რომ ხალხის უკანტროლოთ მართვა მაშინ არის შესაძლებელი და საადვილო, როცა ხალხის შემეცნება, გონებრივი საზდო უმწეობას განიცდის და იგი მესვეურია კანტროლის უნარს მოკლებულია, რუსეთის ბიუროკრატი მაგრათ და ტლანქათ ხურავს მშრომელი ხალხისთვის სასწავლებელთა კარებს. ასეთი ატმოსფერაა გამეფებული რუსეთის პროვინციებში, ამგვარი სულისკვეთებით არიან გამსჭვალული ოფიციალური რუსეთის მესვეურნი მშრომელი ხალხისა და მისი გულწრფელი პატივისმცემლებისადმი, და რა გასაკვირალია, თუ სატახტო ქალაქში ჩასულმა სახალხო მასწავლებელმა იქაც იგივე შევიწროება შეზღუდვა ნახა. მაგრამ მიუხედავათ ამისა, კრებას მაინც თავისი მნიშვნელობა არ დაკარგვია; თუმცა მასწავლებელთ თავისუფალი სიტყვა აუკრძალეს, მაგრამ მის შეზღუდულ ამონაკვნესიდან საგრძნობი გახდა და შეიქნა ის უმწეობა, ის დევნა და წამება, რასაც რუსეთის პროვინცია, პროვინციის მცხოვრებნი, და სახალხო მასწავლებელნი განიცდიან. მაინც ცხადი შეიქნა იმ პოლიტიკის მიმართულება—ღირებულება, რომელსაც რუსეთის დღევანდელი ოფიციალური მესვეურნი აწარმოებენ როგორც შიდა რუსეთის პროვინცია, ისე განაპირა ქვეყნებშიც. თუმცა მასწავლებელთ აუკრძალეს „ფერადების“ ხმარება თანამედროვე შკოლათა დასასურათებლათ, მაგრამ მაინც გასაგები შეიქნა ის მრავალფერი დევნა, რომელშიც შკოლებთა და ბევრი მშვენიერი ილიუსტრაცია გადაიშალა რუსეთის ხალხის წინაშე, მაშინაც კი, როდესაც მთქმელი ფარგლებში გამოამწყვდიეს და აიძულეს —სიტყვა „შეზღუდული“ წარმოეთქვა. განა უსუსური მკითხველისთვისაც კი მასწვდომი არ ხდება სახალხო განათლების ოფიციალურ მესვეურთა პოლიტიკა შკოლებში, როცა სახალხო მასწავლებელი შემდეგ „შეზღუდულ“ სიტყვებს ამბობს:—მე მთხოვეს მაჰმადიანთა შკოლაში მასწავლებლათ გადასულვიყავი. განვაცხადე, რომ არ შემიძლია მაჰმადიანთა შკოლაში მასწავლებლობა ვიკისრო მაშინ, როდესაც ამ ენისა არა გამეგება მეთქი. მათ კი „მიპასუხეს; ჩვენთვის მნიშვნელობა მხოლოდ ნაციონალიზმს აქვსო“ აქ უკვე ყოველგვარი კომენტარია მკრთალია საქმის სინამდვილესთან, ვერავითარი შეზღუდვა ვერ შესძლებს ამ „ბუნდოვანი“ სიტყვების ნამდვილი სახის მიჩქმალვას. ეს იცოდა იმ სახალხო მასწავლებელმაც, რომელიც ამას ამბობდა, მისი სიტყვების რეალობას ვგრძნობთ ჩვენც და ვცდილობთ იგი მაინც იგრძნოს და აღიაროს, ვინც შეიძლება, გრძნობს, მაგრამ ამ გვარ სინამდვილეს გვერდს უვლის და ყურს უყრუებს.

იმერი.

ახალი ამბავი.

ბოსანი ქალი ნინო ორბელიანისა როგორც გადმოგვცეს ამ ჟამად ხანგძლივ ავათმყოფობას შემდეგ ცოტათ უკეთ გრძნობს თავსო.

✦ ამ დღეებში მოწვეული იქნება ქალაქის საბაზრო კომისია, რომელმაც ბაზრის ზედამხედველის თანაშემწე უნდა აირჩიოს.

✦ რედაქციამ მიიღო №-საგან ხუთი მანეთი წ. კ. გ. ქ. განყოფილების გადასაცემათ ნაცვლათ გვირგვინისა, რომელიც შემომწირველს უნდა დაედვა განსვენებულის გრიგ. ტყეშელაშვილის ცხედარზე.

✦ ჰიათურის სახალხო უნივერსიტეტში კვირას, 5 იანვარს, თფილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი გ. ნათაძე წაიკითხავს ლექციას: „დონ-კიხოტი, ჰამლეტი და ვეფხის ტყაოსანი“.

— ორშაბათს, 5 იანვარს ქ-ნი მარიამ ჩხეიძისა წაიკითხავს ლექციას: „ქალთა უფლებრივი მდგომარეობა დასავლეთ ევროპაში და რუსეთში“.

— კვირას, 12 იანვარს ბ-ნი ილია ნაკაშიძე წაიკითხავს ქალთა საკითხზე“.

✦ ლანჩხუთში დამსახურებული პედაგოგის ავთანდილ იოსელიანის დასაფლავებას დიდძალი ხალხი დასწრებია. გრძნობიერი სიტყვა წარმოუთქვამს მასწავ. ა. იმნაძეს.

✦ ამ მოკლე ხანში დასავლეთ საქართველოში დამშეულთა სასარგებლოთ პრივატ-დოცენტი ჯავახიშვილი წაიკითხავს ფრიად საგულისხმო ლექციას: ეკონომიური სტრუკტურა და საქართველოს მდგომარეობა მე XVII და XVIII საუკ. დაწვრილებით შემდეგ.

✦ 6 იანვარს დანიშნულია დ. ჩარკვიანის ბენეფისი მ. მდივნის ასულისა და მგალობლიშვილის მონაწილეობით, წარმოადგენენ დ. ერისთვის „სამშობლოს“.

✦ ქ. შ. წ. კითხვის გამარცელებელი საზოგადოებას ქუთაისის განყოფილების მოლ რე ბ. პ. მოსეშვილი უმორჩილესათ სთხოვს იმ პირთ, ვინც ინება წიგნაკებით საწევრო ფულის შეკრება, შეკრებილი ფული და წევრების სია წარმოადგინონ ივნისის 25 რიცხვამდი, რომ სია დროზე გამოცხადებული იქნას, ხოლო ფული შევიდეს 1913 წლის საზოგადო წლიურ ანგარიშში.

✦ რედაქციამ ქ. შ. წ. კ. ქუთ, განყოფილების მოლარეს გადასცა თუთხმეტი მანეთი სიმ. მაჭავარიანის მიერ შემოწირულ, სიმ. ლოლობერიძის სახელის სახსოვრად (გვირგვინის ნაცვლად), ხუთ, მან №-საგან და თუთხმეტი მანეთიც განსვენებული გრიგ. ტყეშელაშვილის სახელის სახსოვრად (გვირგვინის ნაცვლად) მისი ქალის ოლინკასაგან, სიძის სამონისა, შვილის შვილებისა და ლადიმერ, მიტროფანე და ივანე რუხაძეებისაგან.

მოწერილი ამბები.

დ. ბადადი. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, ბაღდადის ორკლასიანი შკოლის ზედამხედველს ბ-ნ ნინუას წინადადება მიუღია მთავრობისაგან, რომ მას აზრათ აქვს ბაღდადში გახსნას უმაღლესი ტიპის სახალხო შკოლა, ხოლო საზოგადოებიდან თხოულობენ განაჩენს, რომლის ძალითაც ეს საზოგადოება ვალდებულია მისცეს შკოლას მიწა და აუგოს შესაფერი შენობა.—შენობის ღირებულობის მესამედს, მასწავლებლების ჯამაგირს და აგრეთვე ყოველივე შკოლის ნივთების შეძენას მთავრობა კისრულობს ასეთი ტიპის შკოლა დიდი სასარგებლო და მნიშვნელოვანია, არა თუ სოფლათ, არამედ ქალაქშიც კი დაბეჩავებულ გლეხის შვილს ეძლევა საშვალება თავის ღარიბული ლუკმით, თიკისვე სახლში მიიღოს პროგიმნაზიული განათლება, რის შემდეგაც თამამათ და დაუბრკოლებლათ გადავა გიმნაზიაში და ასე ამ გვარათ მიახწიოს უმაღლეს სასწავლებლის კარებამდი... ვუსურვოთ ყოველ სწავლა განათლების მოტრფიალე პირებს, ვინც დაახლოებულია ბაღდადის საზოგადოებასთან იქონიონ წინასწარი მჯელობა ამ საქმეზე, რომ ყრილობის დროს ხალხმა განაჩენის დადგენაზე უარი არ განაცხადოს.

ა. ფ.

დღიური.

21.

ახალი სენი.

მეტათ ძნელია ახალ სენზე ლაპარაკი მაშინ, როცა ადამიანი მრავალი სნეულებით არის შეპყრობილი. მეტათ ძნელია ასეთ დროს მის ორგანიზმში ახალი სახის ავათმყოფობის ამოჩენა, მაგრამ რამდენათაც ივი მავნებელია წუთის სულიერ განწყობილებისათვის, იმდენათ სასარგებლოა ავათმყოფის საკეთილდღეოთ, იმდენათ საჭიროა იგი მისი მომავლისთვის,

ჩვენი ეროვნული ორგანიზმი მრავალი მხრით არის დღეს დასნეულებული და მრავალ მის სნეულებაზე მიუთითებიათ არა ერთხელ, მაგრამ ეს კიდევ მეტათ გვამხნევებს და არ გვაძლევს უფლებას მის ახალსენს არ შევეხოთ, თუ ჩვენდა მისი სამუდამოთ ყოველმხრივი გამომთელება. სამშობლო გვეყიდება, ზნეჩვეულება ქრება, და ეიკარგება და სხ. მრავალი ასეთს გაიძახის დღეს ქართველი საზოგადოების შეგნებული ნაწილი და ამავე დროს ამას ამბობს, ან სულ ცოტას ამბობს იმის შესახებ, რომ ჩვენი მოზარდი თაობა გვეკარგება და იგი თანდათან გადაგვარების გზას ადგება.,.

მრავალ მხრით გამოიხატა დღემდი ჩვენი ახალგაზდობის გადაგვარება, მაგრამ ყველაზე უფრო მწვავეთ ჩვენ მიგვაჩნდა მისი ჩამოშორება ქართველ მშრომელ ხალხისაგან, საინტერესოა ის მოვლენა, რომ ქართველი ახალგაზდობა, რომელიც იდეით, სულიერათ მუდამ ხალხთან არის და მის ჭირ-ვარამზე ლაპარაკობს, საქმით თითქმის ყოველთვის დაშორებულია ამ ხალხისაგან; თითქოს ხალხსა და ინტელიგენციას ერთმანეთის არა გაეგებათ.

ეს მოვლენა მით უფრო სამწუხაროა, რომ ჩვენი ახალგაზდობა ღვიძლი შვილია ჩვენის ერისა, მისი წიაღიდან გამოსული; მაგრამ საკმარისია ამ ახალგაზდამ განათლებისკენ იბრუნოს პირი, საკმარისია მან რაიმე ცოდნის შეძენა მოიწადინოს, რომ შემდეგ ყრუ კედელი აიმართოს მისსა და მშრომელ ხალხის შორის.

ნუ იფიქრებს ვინმე, რომ ახალგაზდობა ღალატობდეს წმინდა იდეებს ხალხის სამსახურისას, რომ მას გადაეფელათ არ სურდეს სხვერპლის მიტანა მისთვის. სრულიადაც არა; მაგრამ უბედურება ის არის, რომ მისი სულიერი სიმდიდრე გასავალს ვერ პოულობს, რადგან იგი სრულიად შემეცნებულია ნიადაგზე ჩვენგან განსხვავებულ პირობებში.

მთელი ცხოვრება ქართველ ინტელიგენციისა წინააღმდეგობით არის მოცული; იგი მაღალს აზრებსა და იდეებს ითვისებს იმ სახით, იმ ფორმულით, რომელიც სრულიად მიუწვდენელი და გაუგებარი ხდება ჩვენი ერის უმეტესობისთვის.

რაკი მეცნიერების შესწავლის წყურვილი გაიღვიძებს ქართველ ახალგაზდობის გულში, იგი იძულებულია დაივიწყოს თავისი ერის ვითარება, ზნეჩვეულება, ენა, მოსწყდეს მკერდიდან თვით სამშობლო მხარესაც და უცხო მხარეში უცხო სულითა და წადილით გაიქლნთოს.

შესაძლოა ჭეშმარიტების გზა ერთი და უტყუარი იყოს ყველასთვის, მაგრამ, ცხადია, ეს ჭეშმარიტება სხვადასხვა სახით უნდა გატასრდეს ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, მისი ეროვნულ ინდივიდუალობისა და კულტურულ-სოციალურის საფეხურის მიხედვით.

და რამდენათაც ჩვენი ახალი თაობა პირველს არკვევს და მსოფლიო ჭეშმარიტებას ეძიებს, იმდენათ მეორე მხარე მისთვის უცნობი და უცხო ხდება.

იგი არ იცნობს თავის ერს, არც მისი ვითარება ესმის და მაღალი იდეალებიც ობსტრაქციაში რჩება, პრაკტიკულათ არ ხორციელდება და თანდათან ნელდება და სცხრება ექსტაზი, ნელდება ახალი თაობის ტემპერამენტი. სწორეთ ამ უკეთმართ აღზდას და თავის ერის უცნობობას უნდა მიეწეროს ის მოვლენა, რომ სტუდენტობის დროს ატაცებული ახალგაზდა, რომელსაც ასე სწყურია ხალხის სამსახური და სამშოსლოს ხსნა, ასეთი ახალგაზდობა ერთგული, ყურმოჭრილი მონა-მოსამსახურეთ ხდება სხვისი და წასულ იდეალებს დაცინვით იხსენებს... დღევანდელმა პოლიტიკანობამ და რუსიფიკაციის იდეით გატაცებამ და სხვ. მრავალმა ესეთმა მოსწყვიტა ქართველი ახალგაზდობა თავის ხალხს, და ორივე სულ სხვადასხვა სახით და ენით აალაპარაკა.

შორს გადახვეწილი ქართველი სტუდენტობა უფრო მეტათ ივიწყებს ამ თავისებურობას, ქართულ სულს და უცხო ატმოსფერით იკენთება, თუმცა იდეით მუდამ ქართველობას ეწევა და მის ბედზე ფიქრობს.

მისი ახალგაზდული ბუნება გატაცებულია მეცნიერების, პოლიტიკურ საკითხებით, ხელოვნებით, რელიგიური კითხვებით და ყველა ამას ითვისებს უცხო ენაზე, უცხო სახით, უცხო კულტურა—თავისებურობასთან შეთანხმებით. უცხო ქვეყანაშივე ებადება სიყვარულის გრძნობაც ახალგაზდას და ქართველი სტუდენტი უახლოვდება რუსის, გერმანელის, ფრანგისა და სხვა ერევნების ქალებს, ქართველი მოსწავლე ქალები—უცხო ვაჟებს და მათ შორის ხშირათ ეს სიყვარული შეუღლებით თავდება.

შეიძლება დღემდი ამას ისეთი მნიშვნელობა არ ქონდა, მაგრამ დღეს მან ეპიდემიური ხასიათი მიიღო და საჭიროა ამ ახალ სენთან ბრძოლა.

უბედურობა ის კი არ არის, რომ ქართველი უცხოელს შეუუღლდეს, არამედ ის, რომ ამას შემდეგ იგი სრულიად კარგავს ქართულ სახეს და ქართველობასაც სავსებით ივიწყებს. გადაგვარება საუკეთესო ნიადაგს პოულობს ამ მის, ისედაც გაენთილსა და მოშხამულს ბუნებაში და ისიც სავსებით მიდის ამ მოლიპული გზით. ამით ისინი თავისთავს კი არ უკარგვენ სამშობლოს, არამედ ამასთან ერთად დაკარგულია ჩვენთვის მთელი მომავალი თაობა... იგი თუ ნახევრად მაინც იყო ჩვენთან და თანა გვიგრძნობდა, მისი შვილებისათვის სულ გაუგებარი დარჩება ჩვენი ავ-კარგი. და ეს მაშინ, როცა ხალხი უვიცობაში იხჩობა

სიმღერა.

ა.

ალარ მეწვია არწივი
ჩემი სამშობლო მთებისა,
ალარ მასმინა დავრდომილს
გუგუნი ბრძოლის ხმებისა...
გულს გაციებულს, ქვათ ქცეულს
სევდამ ჩასჭიდა კლანჭები...
დრო კი რბის!.. ახალ ჟამს მოაქვს
ახალი სევდა დარდები!..
აბა, რათ მინდა სიცოცხლე
მუდამ დღე კაეშნიანი,—
უხმოთ, ლაჩრულათ ვკვდებოდე
ხელში ელვარე ხმლიანი?..
არა, არ შვენის ვაჟკაცსა,
რომ გულის სევდით ბნდდებოდეს;
არ ვარგა, ერის ტაძარის
ტრაპეზზე ცეცხლი ჰქრებოდეს,
მაშინ, ოდესაც სამშობლოს
სიცოცხლე უძნელდებოდეს,
ერის წყლულს მისი შვილები
სხვერპლად არ ეწირებოდეს!..
ძნელია... აზრი ღვთიური
გულშივე უხმოთ კვდებოდეს
და ტრფობის ცეცხლის ნაკვესი
ჰქრებოდეს, არ ეგზნებოდეს!..

——

ბ.

„დაკარ კლდეს!.. ცას შეეტოქე...
აისხი ორბის ფრთანია,
ხელში აიღე ფრანგული
მისჯარ, მოსძარი მთანია!..
წინ მარად!.. სულ წინ ესწრაფე,—
ჰკაფე გზა ნარ-ეკლიანი“...
— ყურში ჩამძახის ქვითინით
ჩონგური კაეშნიანი...
და მეც მზათა ვარ: ავფრინდე
ფრთები გავშალო ცაშია...
ელვის ფრთით შევინავარდო
ლურჯი ცის კამარაშია...
მყინვარს მივარდე: ვუამბო
ბარ-ს კვნესა და წუხილი...
ცას სთხოვოს: გამოუგზავნოს
მთა და ბარს ჰეჟა, ქუხილი...
დე, მეხმა გააკამტვეროს
სამეფო ბოროტებისა;
ძლევის ჰანგებათ ამქუხრდეს
ჩანგი სიმართლის ხმებისა...
დაიმსხვრეს კერპი პირ-ქუში
მხდალი, მონური სულისა...
და მის ნანგრევზე აშენდეს
ტაძარი სიყვარულისა!..

ვ. გორგაძე.

ქ. თფილისი.

და ასეთი კრიზისი ჩვენში კულტურული ძალებისა. კმარა! დე. ჩვენმა ხალხმა აშკარათ განაცხადოს, რომ მისთვის საჭიროა უნივერსიტეტი ტფილისში რომ ახალი თაობა მასვე შერჩეს:

კოდალა.

კოსმოსი.

——

ადამიანი მძიმე ავათ გახდა.
აბსოლუტური მიზეზი იცინოდა.
— რა გახარებს?—კითხეს მას.
— შემთხვევა მეძლევა ჩემი ძლიერების გამოჩენისა!—სთქვა აბსოლუტურმა მიზეზმა,

* * *

ადამიანი კვდებოდა.
აუღელვებელი ბუნება გულგრილათ იყო.
— რატომ არაფერს ამბობ?—კითხეს მას.
— ამით არც რა მაკლდება, არც—მემატება!—სთქვა აღელვებულმა ბუნებამ.

* * *

ადამიანი მოკვდა.
ბრძენი ცხოვრება სტიროდა,
— რა გატირებს?—კითხეს მას.
— ერთი მოაზროვნე არსება გაქრა.
შეიძლება მას ჩემი წინსვლელობისთვის ხელი რითიმე შეეწყო!—მიუგო ბრძენმა ბუნებამ.

ჯ. ჯორჯიკია.

კვირიკე.

——

ხვალ ნათლიღებაა!
ნათელსაღები—მოსანათლავი, საკურთხი დაჭირონსაცხები—იცოცხლეთ—ჩვენში კი იყოს და ბლომათაც იყოს!
მეტათ ძვირია ამ დროში „მონათლული,“ „მირონცხებული“ ადამიანი.
მეცარი და გულთმისანი არა ვარ, მარა კაცს კოჭებში შევატყობ, რა სულიერიკაა, და თუ კი „მირონში“ შევხედავ, მაშინ ხო ნათლად წამომიდგება მისი ავლადიდება და ვინაობა.
კაი ხანია, ჩვენში „მირონი“ გაუფუჭდა ბევრს. ამ რამდენიმე ხნის წინათ მოსცხეს მირონში და ხელახალი მონათვლა დასჭირდა ბევრს, სულ ბევრს, თითქმის ყველას. ბევრიც მოინათლა წალმართად, ახალი ნათლიები გაჩნდა. მარა ბევრის უბედურესი კიდევ მოუნათლავი დარჩა. ერთობ ბევრი რაკი შეიქნა მოსანათლავი, ანგარიში და დავთარი აირია: ვინ ვისა და რა რჯულზე ნათლავდა—ამის გაგება ალარ იყო.
ალარც მირონი შეიქნა საკმაო, ყველას ვერ გახვდა და დარჩა უმირონოთ, მარა აწი და აწი შემოვა ბაზარზე მირონი, შეუზავებელი, წმინდა და მოინათლებიან.
ქვეყნის საკეთილდღეოთ ის დრო დგება, რო ბევრი იმ დროინდელი ნათლიაც მოვიდა და მოდის ჭკუაზე, იგრძნო, რომ ერთობ ყალბ მირონს არიგებდა და სცხებდა. ნახა, რომ ნამდვილი მირონის ნაცვლად, დამქავებულს, დამძაღებულს, მცხარესა და დამპალ მირონს ხმარობდა. და სწორეთ კაი ნიშანია, რომ ეს სიყალბე თვით მირონმცხებლებმა შეამჩნიეს, თვით ინათლებიან და მონათვლენ სხვებსაც მათ მიერ მას ჟამსა შინა უკეღმარ-ად მონათლულებს.
ეს მისთანა კანონია, რომ ვერვინ გაექცევა მის სიმართლეს. დღის სინათლეს დაუბნელებს უკელმართად მონათლული ხალხი, როცა იგრძნობს მირონის სიყალბეს...
მაშ ასე:—ჯერ თვით ნათლიები მოინათლებიან, ბევრი კიდეც მოინათლა, რაკი სამირონოში იგრძნო, რო სულ დალაგებულათ არა აქვს საქმე და მერე მრავლიც გაწალმართდება.
ესეც კანონია დაურღვეველი, მტკიცე და საბუთია, რომელსაც არაფერი უსტავნი ღრამატა არ სჭირია.
ასეთია წესი—ცხადზე უცხადესი!

——

ეს კი ასეა, მარა...
ახალწლის წინა დღეს, სამშაბათის ნომერში ერთობ ცუდათ ინება „სახალხო გაზეთმა“ იმის გამოცხადება, რომ საახალწლო სურათებიან დამატებაში თითხმეტი ჩვენი ახალგაზდა მწერლის სურათი იქნება მოთავსებულიო. ეს ისეთი ცოდვა იყო, რომლის მონანიებას მართლა კაი მირონი და ზიარება-მარხულობაც დასჭირდება.
თუთხმეტი, და სხვა!?
არც ერთს მოსვენებით ძილი არ ღირსებია იმ ღამეს. ვინ იცის რა, სიზმრები არ ნახეს...
ღმერთობაა!
ხვალ გაჩენული ვიქნები „დამატებაშიო“ და მეორე დღეს, სისხამ დილით... ამბარცუმ ცერელოვის...! (საიდან სადაო!? ფიქრში ვიყავი და „ქართული“ „ფიქრის“ რედაკტორ ამბარცუმა გამახსენდა)... ამბარცუმა კი არა—სისხამ დილით მესაათე მირიანოვისა და გაზეთების კანტორა „იმერეთის“ შეერთებული მალაზიის წინ ოთხიათასხუთასორმოცდაათი კაცი იყო ჩამწკრივებული.. ეს სულ ახალგაზდა მწერლები იყო იმერთა დედა ქალაქისა და ყველა „დამატებას“ ყიდულობდა.... და რამდენს გაუცრუვდა იმედი და „დამატებას“ დამატებით მიაკრულა...

——

იქნება ვინმემ იკითხოს:—სად მესაათე მირიანოვი და სად საგაზეთო კანტორაო?!
თუ კი ამბარცუმა ცერელოვს „ქართული“ გაზეთის რედაკტორობა შეუძლია;
თუ კი პუტოკრატნი სოლოლოკისანნი ქართველ დასელსა შეუხმატკბილდებიან, „ჰაზას“ არა კვრენ, გაუძმაბიჭდებიან, ტავრიდში გააგნაცელებენ;
თუ კი ტიპლის ქალაკსა, დუმაში დასელებს თფილ-თფილ ადგილებს შესთავაზებენ:—მოდით დუშკებო —ჯანო;
თუ კი.... ეეჰ! ვინ უწყის, რამდენი ასეთი „თუკის“ თქმა შეიძლებოდა!..
თუ კი ეს ასეა—ახარ, მირიანოვს „იმერეთთან“ რა უშავ!?...
ეს ინტერნაციონალისტური მოძღვრების თვალთახედვის ისრით არის, მაშ! რომელ მოძღვრებასაც კისრით ყოველი ჩვენი დასელი ჰკიდია და სხვა ყოველივე ფეხზეაც არა ჰკიდია—უკაცრავეთ მოხსენებაა, ჩემო მკითხველო, ამ ნათლიღების წინა მარხვის დღეს.

კვირიკე.

პასუხი ი. გოგიას.*)

(„რა არის დინგვისტური ანსნა?“ და სხვა საკითხების შესახებ).

თავიდანვე მოვინანიებ ჩემს შეცთომას და შემდეგ შევეხები შეცთომებს ჩემი პატივცემული მოკამათისა.
ბ-ნი ილ. გოგია სამართლიანის გაკვირვებით გვეკითხება: როგორ შეიძლება ფორმების: „ქომოლისკუა“ (ვაეიშვილი) და „ოსურისკუა“ (ქალიშვილი)ს გამოყვანა ფორმებისგან: „ქომოლიში სკუა“ (მამაკაცის შვილი) და „ოსურიში სკუა“ (დედაკაცის შვილი)—დან. გაკვირვებას საფუძვლიანათ ხდის არა ის, რომ თითქმის რაღაც „დაკვირვებული ადამიანი“ ვიყო და ჩემის მხრით შეცთომის დაშობა ძნელი წარმოსადგენიც იყოს, არამედ ის რომ ზემო მოყვანილ ეტიმოლოგიურ ახსნაში უბრალო ელემენტარული ლოლიკის ნასახიც არ არის, როგორც ეს ბ-ნ ბ—მა გოგიამ, და ასეთი აბსოლუტური ულოლიკობის გამოჩენა ადამიანისაგან, რომელიც ჟურნალის ფურცლებზე კალამს აკავშირებს, რაღა თქმა უნდა, მოულოდნელი უნდა ყოფილიყო...
ეს უცხადესი აბსურდი ჩემს ნაწერში მე თავიდანვე შევამჩნიე, როგორც-კი წავიკითხე პირველად იგი დაბეჭდვის შემდეგ. ჩემი მსჯელობისთვის საჭირო და მოსალოდნელ ორი მაგალითის მაგიერ, სახელდობ: ჯიმასკუა (=ჯიმაში სკუა, ძმის შვილი) და დასკუა (=დაში სკუა, დის შვილი)—ს მაგიერ, თვალწინ წარმიდგა წერილში მოულოდნელათ სულ სხვა სრულიად გამოუდეგარი მსჯელობისათვის ზემოაღნიშნული სიტყვები: ქომოლისკუა და ოსურსკუა. ამ გარემოებამ პირველი ხნით ბ-ნ გოგიაზე არა ნაკლებ დამალონა თვით მე, მაგრამ, რაკაკვირველია, დაუყონებლივ ვსწვდი სრულიად უბრალო მიზეზსაც ამ „ახირებული“ შეცთომისა, რომლის გამო ზედ-გამოჭრილათ მეთქმის რუსული: не было печали, черти накачали! ვამცნებ ჩემი შეცთომის მარტივ ახსნას ბ-ნ გოგიასაც, რათა გამოვიყვანო იგიც იმ უხერხულ—და არც მაინცდამაინც მაღალ ღირსების ლოლიკასთან თანახმა მდგომარეობისაგან, რომელშიდაც იძულებულია ერთ და იმავ დროს „დაკვირვებული მოსაზრებაც“ მომაწეროს და ჩემი მსჯელობის ელემენტარული ულოლიკობაც ირწმუნოს.
საქმეც ის არის, რომ მეგრულში, როგორც ქართულშიც, მართლაც ხშირია. ნათესაობითი ბრუნვის ნაწილაკის (—ში, —შ) ამოვარდნა რთულ სიტყვაში. მაგალითები, რამდენიც გნებავთ: ჯიმასკუა (ჯიმაში სკუა, ძმის შვილი) დასკუა (დაში სკუა. დის შვილი), ბატონისკუა (ბატონიშ სკუა, (ბატონის შვილი) ქირსეთუთა (ქირსეში თუთა, ქრისტეს თვე=დეკემბერი). ქართულად შეადარეთ: ბატონიშვილი (ბატონის შვილი) ბიძაშვილი (ბიძის შვილი), დედი-ნაცვალი (დედის ნაცვალი) და მრავ. სიმრავლე ასეთ მაგალითებისა ადვილ შესამჩნევათ ხდის მათ და მეც ამიტომ კაი ხანია მივაქციე ალნიშნულ კანოეს ყურადღება. მაგრამ,—ცნობილია,—ფონეტიკური კანონები ენაში ათასობითაა, და ეს გარემოება ქმნის საჭიროებას, ყოველ კანონის საილუსტრაციით დაცულ იქმნეს მეხსიერებაში რამდენიმე რჩეული კონკრეტული მაგალითი, რათა მკვლევარს არ უხდებოდეს ყოველს ახალ შემთხვევაში მათი მოგონება და ხელახლა განსჯა განხილვა, ხელახლა მოფიქრება ერთხელ ოდესღაც აჩენილ საბუთებისა. ამით ილწევა ე. წ. „აზრის ეკონომია“, რომელიც ათავისუფლებს მკვლევარს ზედმეტ ენერგიის ხარჯვისაგან და დროს კარგვისაგან იმ დარგში, სადაც ერთხელ აუწონ-დაუწონია მასალები და საბოლოოდ გამოურკვევია თვისთვის ისა თუ ეს საკითხი. და ჩემი ერთად ერთი ბრალიც, რომელსაც, როგორც ვსთქვი, გულწრფელად ვინანიებ, მხოლოდ ის არის, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში გადამეტებით დავენდე ჩემს მეხსიერებას და თავისთავად სრულიად ჭეშმარიტ დებულების საილუსტრაციოთ გაუსინჯავათ მოვათავსე ყალბი საბუთები, რომელნიც ჩემს მეხსიერებაში, ალბად, „чертъ накачали“.. ნეტა რამე გასაჭირი ყოფილიყო ჩემი დებულებისთვის საბუთების გამოძებნა: მისი დამამტკიცებელი მაგალითები ორივე ენაში „ოხრადაა“, და რაღა ის ორი უსაძაგლესი მეხირა მაშინ თვალში?!—მაშასადამე არც „დაკვირვებული მოსაზრება“ და არც „ულოლიკო მოსაზრება მოსატანი არ არის იქ, სადაც მოსაზრებას სრულიად არ ქონდა ადგილი და იყო მხოლოდ ყალბი აღდგენა მეხსიერებაში ერთხელ ოდესღაც სწორი მაგალითებით განმარტულ უჭეშმარიტეს ლინგვისტურ კანონისა (ნათეს. ბრ—ის ნაწილაკის გამოვარდნა რთულ სიტყვაში). იმ დროს, როცა „წალენჯიხ“-ს ახსნას ვწერდი, ცხადია, ჩემს პირდაპირ მიზანს შეადგენდა მხოლოდ ზემოაღნიშნული ფონეტიკური კანონების მოხმარეა ალნიშნულ ტერმინის ისტორიის ახსნაში და არა ამ უკვე გამოაშკარავებულ კანონების ხელახლა აღმოჩენა და სპეციალური განხილვა; ამიტომაც თვით ჩვენი მთავარ საკითხისათვის მეორე ხარისხოვან მხარის გასაშინჯავათ, ე. ი. ტერმინების: ქომოლისკუა—ოსურსკუას შინაგან მნიშვნელობის გამოსარკვევათ, სამწუხაროდ, ეტყობა, სულ მცირე ხნითაც არ მომიცლია და მეხსიერებაკი ალბათ შეიყვანა შეცთომაში ტერმინების მორფოლოგიურმა (ფორმალურმა) მზგავსებამ 1) ქომილისკუა და ოსურისკუაც რთული სიტყვებია, როგორც გამოსადეგარი მსჯელობისთვის ჯიმა-სკუა და დასკუაც; 2) ყველა ალნიშნული რთული სიტყვები შესდგებიან მეორე ნაწილში სიტყვისგან: „სკუა“; არის მათ შორის სემასიოლოგიური (=მნიშვნელობის) მზგავსებაც: სიტყვათა ორივე წყვილი შეიცავს დაპირისპირებას მამრობითი და მდედრობით სქესისა).—იმდი მაქვს, რომ ეს ჩემი გულწრფელი და სადა განმარტება სრულიად დაეკმაყოფილებს ბ-ნ გოგიას,—მით უმეტეს, რომ იგივე განმარტება მასაც მისცემს აწ ნებას, არ დაიჯეროს ის, რაც „არ სურს დაიჯეროს“. ეხლა-კი დიდის სიამოვნებით მივიღებ ბ-ნ გოგიასაგან, თუ საჭირო იქნება, შეკვეთას—ათობით წარვუდგინო ჩემი მსჯელობის დამასაბუთებელი მაგალითები წინათ შეცთომით მოთავსებულთა ნაცვლათ (ვიჭრობ-კი, რომ არც ბ-ნ გოგიას გაუჭირდება მათი მოძებნა. რა მოინდომებდეს).
ეს არის და ეს... დამეთანხმებით, რომ ჩემი შეცთომა უწვრილმანესია. ყოველ შემთხვევაში ის შეეხება მხოლოდ მე, როგორც განსაზღვრული ძალის მეხსიერების მქონე პიროვნებას, და საქმის პრინციპიალურ მხარესთან საერთო არაფერი აქვს. ჩვენთვის საინტერესო-კი მხოლოდ საქმის შინაარსი უნდა იყოს,—და აბა ახლა მისკენ მივიბრუნოთ პირი *)

ნ. ჯორჯიკია.

(დასასრული შემდეგ)

*) ეს. „ერი“, № 30.

*) საუბედურო, წვრილმანებზედაც გვიხდება დაუსაბამო ლაპარაკი ზოგიერთ მოკამათესთან.. მაგრამ თუმცა ბ-ნი გოგიას ჭარბის ენერგიით შეეხო და ზედმეტი გაბუნებაც დაჯარა ჩემ-მაერ დაშობილ „ახირებულობას“, რომლის მარტივი ახსნა მას არ უნდა გასჭირებოდა,—მე მაინც შემიძლია სიამოვნებით აღვნიშნო, რომ ჩემმა მოკამათემ ბოლოს და ბოლოს მაინც შეძლო და თავი ძალდაუტანებელ მსჯელობის სიზღვრებში შეიყვანა, როცა განაცხადა, რომ მას „არ სურს დაიჯეროს“ და სხვა, და სხვა. სამწუხაროთ, არ შემიძლია იგივე გავაკეთო-რო ერთ წინანდელ ჩემ მოკამათის შესახებ... მხედველობაში მყავს ბ-ნი გრ. რობაქიძე: ამან არამც თუ შესაძლებლათ სცნო, ეტიკეტები მეთხვეოდთათვის ის, რომ ვითომც მაინც მოწინააღმდეგემ „კიოტე“-ს წერტ

დაბა-სოფლები.

——

სოფ. წეემი (ოდიშ). [illegible] ბარეობს ძველ სენაკსა და აბამის შუა. სწავლა-განათლებიდ [illegible] მორჩენილი იყო მეზობელ სოფლებზე. ამჟამად კი სიცოცხლე დაეტყო. გაუმჯობესეს ძველი ერთკლასიანი სამრევლო შკოლა, აარსებენ სამკითხველოს. მოლაპარაკება აქვთ წვრილი კრედიტის ამანაგობის დაარსებაზე. ამ სოფელში ყოველ წელიწადს ქრისტეშობისთვის ოთხს წმ. ბარბალეს დღეობას იხდიან. ორ კვირის წინ მთელი საზოგადოება, დიდს მზადებაშია ყველა იმის ცდაშია, რომ სტუმრებით სხვას არ ჩამორჩეს. რაც უნდა მცირე ვინგვარიშოთ თითო მოსახლეს ეს დღეობა თუთბმეტი მან. დაუჯდება. წყემში 120 მოსახლეა, ასე რომ ყოველწელიწადს წყემელები ათას რვაას მანეთს მაინც ხარჯავენ ამ დღეობაზე. როგორც ამბობენ, რაც ეს დღეობა დაუწესებიათ' ორმოცი წელიწადზე მეტია. მაშ ამ სანში სოფელს 72000 მანეთი დაუხარჯავს. წარმოიდგინეთ ახლა, რამდენი კეთილი საქმის დაარსება შეიძლებოდა ამდენი ფულით ამისთანა პატარა სოფელში? რო კითხო დიდს თუ მცირეს სულ სილარიბეზე, შემოგჩივლებენ. ამ 8 წლის წინათ საზოგადოებას ერთი ხმათ გადაუგდია ეს დღეობა; მაგრამ მერე ისევ უთქვამთ აგერ-ეგერ:—ეს ხედავთ ამ წელიწადს მოსავალი სულ არ ყოფილა, კაცის სიკვდილიც გახშირდა და სხვა უბედურებაო.. ეს სულ იმის ბრალია, რომ „ბარბარობა“ გადავაგდოთო... და ეს უთავბოლო ხარკი ისევ დაიდვა სოფელმა...

ი. ბ.

——

სოფ. მუჯირეთი (ზემო-იმერეთი) ჩვენს სოფელსა და მუხურის საზოგადოებას შუა, ჩუდისთ მდინარე ძუსა. მუჯირეთსა და მუხურის საზოგადოებას სოფ-

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ
ი. ᲒᲝᲚᲙᲘᲔᲚᲘᲡ ᲫᲕ—ᲑᲘᲡ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

მიღებულია და იყიდება მლიერ ზო-მიერ ფასებში **ᲡᲐᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ** საუკეთესო ხარისხის (Визитныя карточки изъ загран. магистоли). **რუსული კალენდრები.** საუკეთესო გამოცემა ოტტო კიხნერის და სიტინის ამხანაგობისა. ქართული კედლის და ჯიბის კალენდრები. **ტყავის პორტფელები.** (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя).

კალათები ქალალდის ჩასაყრელი. **ᲓᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ**

27-ᲓᲐᲜ 31 ᲓᲔᲙᲔᲛ. ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲕᲠᲘᲚᲐᲗ ᲯᲣᲕᲔᲚᲜᲐᲘᲠᲘᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲣᲚ ᲤᲐᲡᲔᲑᲨᲘ.

ᲓᲔᲞᲝᲚᲐᲛᲞᲔᲣᲚᲘᲡ, ᲭᲣᲠᲭᲚᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲞᲐᲚᲘᲔᲠᲘᲡ Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

Ვ. Ს. ᲕᲘᲚᲘᲐᲛᲡᲝᲜᲘᲡ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ,

მოეპოება ყოველთვის ელექტრონის ძრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობანი, ყოველნაირი ხაოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელეუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (ბაკრავები), ხეკლესიო სამკაული და ძრავალგვარი ძვირფასი ხაო-ჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შეპალვრის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.

პატივისცემით ვ. ს. ფილიპოვი. № 10.

ლებს ისეთი დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან. რომ ერთ საათსაც არ შეუძლიათ უერთმანეთოთ ცხოვრება, რადგან მუხურის საზოგადოების სოფელ თავასაში, გამართულია დუქნები, წისქვილები, შკოლა, სახელოსნოები მუხურის საზოგადოების ყველა სოფლის მცხოვრები, სადაც უნდა წავიდეს ჩხარში თუ ზესტაფონს სოფელ მუჯირეთსა და თავისას ვერ ასცდებიან ყველამ უნდა ჩაიაროს მდინარე ძუსის ხიდი, რომელიც დაძველებულია, და გაჭირვებით გადიან ზედ ფეხითა და ცხენით, ურმით გავლა კი ყოვლად შეუძლებელია. ეს მდინარე როდესაც ადიდდება, დანგრეულ დაძველებულ ხიდზე გასვლა ამ დროს საშიშია და მგზავრები იძულებული არიან მდინარის ორივე ნაპირებზე თითო კვირაობით უცადონ წყლის დაკლებას. ხიდის მიუცილებელ საჭიროებას ყველა, როგორც ხალხი, აგრეთვე მთავრობაც კარგათ ხედავს, მაგრამ იმის გაკეთებისთვის არავინ თავს არ იტკივებს. ამ ხიდის გაკეთების ვალდებულნი არიან მუხურის საზოგადოების მცხოვრებნი და ჩხარის საზოგადოების ნაწილი. ორგზის გვყავდა ამ ხიდის თაობაზე მოწვეული ყრილობა, მაგრამ ბ. გზის მეთვალყურის წყალობით არ დადგინდა განაჩენი. მეთვალყურე როგორც ადგილობრივი გავლენიანი პირი, ყრილობაზე ხალხს გადასძახოდა; გინდათ თუ არა, მე უნდა ავიღო და რკინის ხიდი უნდა გავაკეთოო, რომელიც ამდენი და ამდენი ათასი მანეთი დაგიჯდებათო. ხალხი, რასაკვირველია, ასეთ წინადადებას არ დეთანხმებოდა და ორივეჯერვე ყრილობა დაიშალა. რას დავეძებთ რკინის ხიდს, რო ვინმე მაღლიანი გამოჩნდებოდეს და ხეს გაგვაკეთებინებდეს, როგორიც გვქონდა, ქონდა ამ ხიდს ძველი მუხის ხეები და ამით დროებით მაინც შეკეთდებოდა ხიდი, მაგრამ გულშემატკივარმა გზების მეთვალყურემ დასჭრა ეს ხეები და სადღაც გზებში დაასო, რისი ნებაც მას არ ქონდა, მაგრამ ვის კითხა ნება.

ციც.

——

ს. ტყიბული (ოკრიბა). ქუთაისიდან ტყიბულამდი მიმავალს ადამიანს ბუნების სიმშვენიერე გხიბლავს. ტყიბულში 200 კომლამდი იქნება მცხოვრები. ყველა ერთნაირათ ეწევა ცხოვრების ჭაპანს. აქ მისდევენ მევენახეობას, უფრო კი სიმიდი მოყავთ, მაგრამ საამისო ნიადაგი არაა და ყოველწლივ ნაკლები მოსავალია სიმიდისა. გასულ წელს კი სულ დაზარალებული შეიქნა აქაური მცხოვრები. ზოგს ეხლაც არ აქვს საკვები. სწავლა-განათლებას ძალიან ნაკლებათ ეტანებიან. როგორც იქნა, წელს მოაგვარეს აქაურებმა და დააარსეს ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, ბიბლოთეკა სამკითხველოსთვის რამდენი ხანია სამკითხველო დაქირავებული აქვთ, ნებართვა წარდგენილია დასამტკიცებლათ, მაგრამ—აგერ სამი თვე გადის და არაფელი ისმის, საჭიროა, საქმის მოთავე პირებმა ენერგიულათ მოეკიდონ ამ საქმეს და არქივს ნუ ჩაებარებენ ამ სასარგებლო საქმის ბედ-იღბალს.

მიმავალი.

——

სოფელი გორა. სოფელი გორა დ. ბაღდადის ფარგალშია, ქუთაისიდან 26 ვერსის მანძილზე. ეს სოფელი ბუნებისაგან დაჯილდოვებულია, ხოლო სწავლა-განათლების მხრით მეტათ დაქვეითებულია, ერთი პირველდაწყებითი შკოლაც არ არის ამ ხელა სოფელში. ვითომ რაღაც სამრევლო შკოლასავით გახსნეს, მაგრამ სწავლა ხან არის და ხან არა და არ აღმოჩნდა ვინმე ისეთი მადლიანი კაცი, რომ ითაოს ამ სოფელში ხეირიანი შკოლის დაარსებისთვის. თუმც არიან აქ შეძლებულნი აზნაურნი, მაგრამ დროს ტარებაზე უფრო ბევრს ფიქრობენ, ვიდრე საზოგადო კეთილ საქმეზე, ამ სოფელში ჩვეულებაა, როდესაც ჭირნახულს შეინახავენ, გაიმართება მიპატიჟება ერთმანეთში, რასაც ხშირათ თან ახლავს ჩხუბი და უსიამოვნება. აი, წასულ დეკემბრის თვეში მოხდა ასეთი ამბავი: ბ. საკანდელიძეს ქონია წვეულება. სხვათაშორის სტუმრათ ყოფილა იმავე სოფლის მცხოვრები, ახლო მეზობელი და ნათესავი ლადიმერ მესხი. ქეიფში წალაპარაკებულან მასპინძელი და მესხი და მასპინძელს მძიმეთ დაუჭრია ხანჯლით მესხი. ის იყო ერთი მუშა ახალგაზდა, რომელიც თავის შრომით ინახავდა მთელს თავის ოჯახს და ახლა რა უნდა ქნას საწყალმა მისმა ლარიბმა ოჯახმა? ამისთანა შემთხვევები აქ ახალი შემთხვევა-იდგნ არ. არის და ეს ყველაფერი ხდება შეუგნებლობის გამო. დიდი სასურველი იქნება, რომ ამ სოფელში ვინმე აღმოჩნდებოდეს. იკისრებდეს მზრუნველობას და პირველდაწყებითი შკოლა მაინც დაარსდეს, რომლის საშუალებით ახალი მოზარდი თაობა ცოტა განათლების შუქს მაინც დაინახავს და მით ცოტათ მაინც შემცირდება აქაურ საზოგადოებაში ბოროტმოქმედება.

გიორგი ბალტაგული.

——

სოფ. ზოგრეთი (ზემო იმერეთი) ზოგრეთლებს კლასის შენობის ფული უკვე მოკრებილი აქვთ, მაგრამ საქმეს თავი ვერ მოაბეს, რადგან დიდათ არც აქაურ მასწავლებლებს ადარდიანებს თავიანთი მოვალეობის წმინდათ შესრულება. არსებობდა ერთკლასიანი შკოლა, რომლის შენობა დაძველდა და გამოუსადეგარი შეიქნა, ამიტომ ფიქრობდენ ორ კლასიანი შკოლის დაარსებას, რომლისთვისაც არც შენობა აქვთ, და არც ნებართვა.

თუმცა არც ზოვრეთის მახლობლათ მდებარე სოფლები არიან უკეთეს მდგომარეობაში, მაგრამ ზოვრეთთან შედარებით მათს ბედს ძალი არ დაეყენა. როგორც საზოგადოთ, აქაც იკრიბებიან ყრილობაზე სხვადასხვა კითხვების გადასაწყვეტათ, იწყობენ პლანებს, მაგრამ არც ერთი მათგანი სისრულეში არ მოყავთ. დაიბადა სურვილი საკრედიტო ამხანაგობის დაარსებისა, მაგრამ არც ამ სურვილს ეწვია შესაფერი ბედი. ჯერ ჯეროობით საკითხი კოოპერატიული დაწესებულებათა დაარსებისა ამ სოფელში სრულიად მოუმწიფებელია.

ვერ ვიტყვი იმას, რომ ზოვრეთი დაშორებული იყოს კულტურული ცენტრებისაგან, სოფელი დაბა ზესტაფონსა და ჩხარს შუა მდებარეობას, სადაც ცხოვრებას მეტი წინსვლა ეტყობა. არც იმის თქმა შეიძლება, რომ აქაურ ზოგიერთ მცხოვრებლებს მაინც არ ესმოდეს სასარგებლო დაწესებულებათა მნიშვნელობა. ჩემის აზრით ამ სოფლის დაცემა დაქვეითებაში დიდი ბრალი უდევს იმ მოვლენას, რომელსაც საკმაოთ აქვს გადგმული ფესვები ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში. აქაური კუდაბზიკა აზნაურები ვერ ჩამორჩენ საზოგადო „მოდას“, ყიდიან ადგილ მამულს და ქალაქისაკენ მიეშურებიან. ბინავდებიან თუ არა ქალაქში, სწყვეტენ ყოველი კავშირს მშობელ სოფელთან, და მაშასადამე არაფერს ზრუნავენ უკანასკნელის კეთილდღეობაზე. საჭიროა, ასეთმა ვაჟბატონებმა ცოტათი ჩაუკვირდენ საქმეს, რომ მიხვდენ საანბანო ჭეშმარიტებას: შეიძლება ადამიანი ქალაქში დაესახლოს, მაგრამ გაიზიაროს თავის სოფლის ჭირი და ვარამი და შეიქნეს მისი სულიერი მეგობარი.

მახლობელ ქალაქში კი არა, შეიძლება, უცხოეთში იმყოფებოდე, მაგრამ შენი ქვეყნის და სოფლის წინსვლას ხელს უწყობდე.

ასე რომ აქაური ზოგიერთი მცხოვრებელი ასე სწყვეტს თავის სოფლის ბედიღბალს და დაასკვნის: „მე ქალაქში მივდივარ, და ჩემს შვილებს „ღიმნაზიაში“ გამოვზდი; რაც შეეხება ჩემს სოფელში კლასის დაარსებას, მე თავს არ შევიწუხებ, რადგან ჩემს საჭიროებას არ შეადგენსო“. მკითხველი უჩემოთაც მიხვდება, თუ რა ულოგიკობაა ეს და რაც გამოსჭვივის ასეთი მსჯელობიდან.

ამ რიგათ სოფელ ზოვრეთსა და სხვა სოფლებშიც (რადგან გადასახლება ქალაქში ბევრი სოფლიდან წარმოებს, თუმცა გადასახლებულები ძალზე ღარიბდებიან და ხეირი არ ეყრებათ) რწმენა მხოლოდ გაძვალტყავებული გლეხები, რომელთაც არ შეწევთ არც გონებრივი ძალა და არც მატერიალური სიძლიერე, რომ რაიმე სასარგებლო საქმე მკვიდრ ნიადაგზე დაეგდოთ.

დათ. გოცირიძე.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲣᲕᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ ᲐᲓᲔᲡᲔᲚ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

„ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ,“

რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდან გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების „საქართველო“-ს სასარგებლოთ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ.

ᲞᲠ.—დოტ: ს. ავალიანი. დროებით ვადდებულ კვლევა საკითხი. ორდინატორი ნერვიულ კლინიკისა აქმი ს. ყიფშიძე: საუბარი ტვინის ფუნქციებზე, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ანატომიურ თეატრისა აქმი ნ. კახიანი: ნორმალურ ანატომიის შესავალი (უჯრედი და ქსოვილი). ორდინატორი გენერიულ კათეორასზე აქმი მ. ტეტხლაძე: ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. სტუდენტი ᲞᲠ. ᲥᲐᲒᲘᲐᲠᲐᲫᲔ: ანსბიოზი. სტ. ქ. რაშვილიშვილი. საუბარი ხელოვნების შესახებ. სტ. ს. ასლანიშვილი. სამტხე-საათაბაგოს სიძველენი. სტ. ვ. კარბელაშვილი. ახალგაზდები (მოთხ. სტუდ. ტხოვ.) სტ. დ. ჟღენტი. ბავშვის ადზდა. სტ. კ. ურუშაძე. რადის მნიშვნელობა მედიცინაში.

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ალექსანდრეს ქუჩა. ზ. კოკოჩაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ეღირება ერთი მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 შ.

ᲫᲛᲐᲗᲐ ᲧᲝᲠᲧᲝᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

მიხეილის ქუჩაზე ამ დღესასწაულებისთვის მიღებულია საუკეთესო ღირსების

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲗᲐᲤᲚᲘ

ალექსანდროპოლის „ალპიის ფლორის“. აქვე გვაქვს ყოველი გვარი საბაკალეო სიქონელი ფასები ზომიერია.

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“

(წელიწადი მეხუთე)

1914 წ. გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდი გამოდიოდა კვირაობით

სურათებიანი დამატება

1914 წლ. ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიათ: პირველი წიგნი: ქართველი მწერლები: 1 „უგვირგვანო მეფე“ ისტორ. დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. 2. „მომქრალი შარავანდი“ ისტ. რომ ვ. ბარნოვისა **მეორე წიგნი:** უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი“—ტრაგ. შილერისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოები უცხოეთის მწერლებისა **მესამე წიგნი „სამეცნიერო კრებული.“** ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

თფილისში და მის გარედ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8მ.10შ.	8 მ.—„	7მ.10შ.	6მ.15შ.	6 მ.—„	5მ. 5შ.	4მ.10შ.	3მ.15შ.	3 მ.—„	2მ. 5შ.	1მ.10შ.	—15შ.

საზღვარ გარეთ.

15მ.—„	13მ15შ	12მ.10შ	11მ.5შ	10მ.—„	8მ15შ.	7მ.10შ.	6მ. 5შ.	5 მ.—„	3მ.15შ.	2მ.10შ.	1მ. 5შ.

ცალკე ნომერი ყველგან შაურით; დამატებანი შვიდი კაპეკით.

Გ. ᲒᲝᲚᲠᲓᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ Ს. ᲦᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოუმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნენაგ-მაღლეევის ბეშსკის მიხეიის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მისის ყუთზენიანს „БЕМСКОЕ“

ᲠᲙᲘᲜᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ:

საუკეთესო ქარხნებისგან

ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲙᲘᲜᲔᲣᲚᲘ

საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელეკტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

გაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეიდის ქუჩაზე № 65

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

Კ. ᲝᲪᲮᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

იყიდება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი, გეოგრაფიული კარტები, სურათები თვალ საჩინო სწავლის ათვის, მწერლების სურათები, მოძრავი ანბანი და სხვა.

პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და ბიბლიოთეკებს ეძლევათ **დიდი სადვათი.**

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲝ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

Დ. ᲝᲪᲮᲔᲚᲘᲡᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

იყიდება ყოველ გვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი ახლათ მიღებული ია არიითმეტიკული „ჩოთქები“ და ყუთები, საღებავები, საუკეთესო რვეულები, ყოველგვარი ქადალდი, კალენდრები, პორტფელები, კანტორის წიგნები. და მრავალი სხვა.

ფასები მეტათ ზომიერია.

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲦᲘᲡ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ:	სახალხო დილის	10 საათ.	6 წ.
	ფოშტის დილის	11 საათ.	55 წ.
	სახალხო ღამით	11 საათ.	27 წ.
ᲐᲗᲝᲛᲘᲡ:	სახალხო დილის	5 საათ.	10 წ.
	სახალხო ღამით	11 საათ.	27 წ.
	ფოშტის საღამოს	5 საათ.	21 წ.
ᲤᲝᲗᲘᲡ:	საგარაკო დღის	4 საათ.	22 წ.
	სახალხო ღამით	5 საათ.	10 წ.
	ფოშტის დღით	5 საათ.	21 წ.
ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘᲡ:	საგარაკო დღით	4 საათ.	57 წ.
ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ:	სახალხო დილის	7 საათ.	50 წ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲓᲘᲡ.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ:	სახალ. დილ.	7 საათ.	—
	ფოშტის საღამ.	6 საათ.	55 წ.
	სახალხო ღამ.	1 საათ.	28 წ.
ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲓᲐᲜ:	საფ.-სახ. დილ.	11 საათ.	14 წ.
	სახალხო ღამ.	1 საათ.	27 წ.
ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲜ:	საგარ. დილ.	10 საათ.	3 წ.
	სახალხო დღით	1 საათ.	20 წ.
	სახალ. ღამით	1 საათ.	26 წ.
ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘᲓᲐᲜ:	საგარ. დილის	9 საათ.	31 წ.
ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲓᲐᲜ:	საღამოს	—	5 საათ. 11 წ.

ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: